უპატრონო ძაღლები – საფრთხის შემცველი პრობლემა გვ. 2

გიორგი ფარეშიშვილი: „არსად წასვლას არ ვაპირებ„ მოსალოდნელია თუ არა საკადრო ცვლილებები ფოთში გვ. 2

მთავარი თემა სამეგრელოში

ფასი 1 ლარი №27 19 - 25 ნოემბერი 2018 წელი\ გამოდის სამშაბათობით

დარეჯან ცხვიტარია: „არ მივცემთ არჩევნების გაყალბების საშუალებას. ამისთვის მომზადებულნი ვართ„

გვ. 3

საპენსიო ცვლილებები საქართველოში

გვ. 3

ევროკავშირის გრანტი ფოთს

გვ. 4

ვახტანგ ალანია: „ეს ჩემი ადგილია და მე ბედნიერი ვარ სწორი არჩევანით„

გვ. 5

საქართველო ახალი პრეზიდენტის მოლოდინში

ივეტა პაჭკორია
ფოთი

საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური ურთიერთბრალდებებით, დისკრიმინაციული სახის ბანერებით თუ ურთიერთცილისწამებით მიმდინარეობს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში სიძულვილის ენამ პიკს მიაღწია. თუ პირველი ტურისათვის ქალაქში მხოლოდ დამოუკიდებელი კანდიდატის ბანერები იყო გამოფენილი, მეორე ტურისათვის „ქართული ოცნების" ლიდერთა ბანერებიც ვიხილეთ, ამავდროულად გამოჩნდა ბანერები წარწერით „არა მიშას", „ვაღოლა".

ქალაქში ბანერების გამოჩენას არაერთგვაროვანი შეფასება მოყვა ელექტორატის მხრიდან. ბანერებთან ერთად ქალაქში გაჩნდა „მეგობრული შტაბები", რომლებიც გამვლელებს „არა მიშას" მხარდაჭერისკენ მოუწოდებენ. რუსთაველის რკალზე გახსნილი შტაბის ხელმძღვანელი ბიძინა ჩაჩიბაია პარტია „ქართული ოცნების" წევრობას უარყოფს: „არ ვარ პარტია „ქართული ოცნების" წევრი, ჩვენ ვართ მეგობრები, რომლებიც ვეხმარებით „ქართულ ოცნებას", რადგან არ გვინდა დაბრუნდეს „ნაციონალური მოძრაობა" და არ ქონდეთ არანაირი ბერკეტი მთავრობაში". ჩაჩიბაია „არა მიშას" და „სისხლიან ხელებს" დისკრიმინაციულ გამოხატულებად არ თვლის. მეტიც, მისი აზრით, ეს „ნაციონალური მოძრაობის" რეჟიმის გამოხატულებაა:

„ჩვენ რაც გვახსოვს იმ რეჟიმიდან, იმას გამოვხატავთ ბანერზეც. ესაა და ეს, ვინმემ მითხრას, რომ ეს ტყუილია " - ამბობს იგი და დასძენს, რომ მეგობრული შტაბის გახსნის შემდეგ ძალიან ბევრი მხარდამჭერი შემოუერთდა და ხალხს სრულებით არ აღიზიანებს მსგავსი ბანერები.

„ლეიბორისტური პარტიის" წევრ მამუკა ხორავას აზრით კი, სანამ „ნაციონალური მოძრაობა" და „ქართული ოცნება" ერთმანეთის საყვედურებს არ მორჩებიან, არაფერი იქნება: "ისინი ვერ ხვდებიან, რომ მსგავსი განცხადებები არაპოლიტიკურია, ერთმანეთისათვის შეურაცხყოფებების მიყენება - საზოგადოების შეურაცხყოფაა. პირადად მე, როგორც ლეიბორისტური პარტიის წარმომადგენელი, მტკივნეულ თემად მივიჩნევ, რადგან ამ პარტიების უკან შეიძლება იდგეს ჩემი ახლობლები. სხვადასხვა პოლიტი-

დასასრული 2-გვ.

შენ ჯერ ეგ არ გინახავს



აქ გვიპოვი ჩვენ
www.msnews.ge

გუჯა ქარაია: „სამშობლოს ღალატი უპატიებელია„

გვ. 6

კოლუმბა ვარდა: „ვგრძნობ, რომ ჩემს სახლში მოვედი„

გვ. 5

ფოთელი მოჭიდავეებმა – ლუკა გადელიამ და მარიამ თოდუამ მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილეობის უფლება მოიპოვეს

გვ. 7

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ, ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲘᲜᲒᲐ ᲒᲕᲐᲡᲐᲚᲘᲐ - 599 341 417;
ᲘᲜᲒᲐᲒᲕᲐᲡᲐᲚᲘᲐ
ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲘᲕᲔᲢᲐ ᲪᲐᲯᲙᲝᲠᲘᲐ - 597 97 76 18

ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ:
ᲛᲐᲘᲐ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ 551 522 429-
ᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ:

ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲐ - 579 24 11 22

ᲗᲔᲙᲚᲐ ᲛᲐᲢᲙᲐᲕᲐ (ᲤᲝᲗᲘ) 568 74 41 12

ᲘᲕᲔᲢᲐ ᲪᲐᲯᲙᲝᲠᲘᲐ (ᲮᲝᲑᲘ) 597 97 76 18

ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲡ. ᲡᲢᲐᲢᲘᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲐᲑᲔᲑᲔᲜ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ. ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲐᲣᲓᲘᲝ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲘᲜᲐᲮᲔᲑᲐ ᲝᲠᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ, ᲐᲛ ᲕᲐᲓᲘᲡ ᲒᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲖᲘᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ.

ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲑᲔᲭᲓᲕᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲣᲚᲘᲐ.

ᲒᲘᲝᲠ�გᲘ ᲤᲐᲠᲔᲨᲘᲨᲕᲘᲚᲘ: „ᲐᲠᲡᲐᲓ ᲬᲐᲡᲕᲚᲐᲡ ᲐᲠ ᲕᲐᲞᲘᲠᲔᲑ„

ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲡᲐᲙᲐᲓᲠᲝ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲤᲝᲗᲨᲘ

ᲘᲕᲔᲢᲐ ᲪᲐᲯᲙᲝᲠᲘᲐ
ᲤᲝᲗᲘ

ᲕᲘᲪᲔ ᲛᲔᲠᲘᲡ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲝᲤᲣᲠᲘᲐᲡ �გᲐᲓᲐᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲩᲜᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲐᲡ ᲡᲐᲙᲐᲓᲠᲝ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲝᲧᲕᲔᲑᲝᲓᲐ. "ᲬᲘᲜᲐᲡ�წᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲐ" ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲚᲓᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲣᲠᲘ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲬᲘᲜᲐᲐ. ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲝᲤᲣᲠᲘᲐᲡ ᲬᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲪᲘᲠᲔ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲙᲐᲓᲠᲝ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲕᲘᲮᲘᲚᲔᲗ ᲤᲝᲗᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲚᲘᲢᲐᲨᲘ. ᲕᲘᲪᲔ ᲛᲔᲠᲘ ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲞᲐᲞᲐᲡᲙᲘᲠᲘ ᲐᲮᲚᲐᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲛᲐ ᲙᲝᲢᲔ �თᲝᲤᲣᲠᲘᲐᲛ ᲩᲐᲐᲜᲐᲪᲕᲚᲐ, ᲞᲐᲞᲐᲡᲙᲘᲠᲛᲐ ᲙᲘ ᲛᲔᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲠᲫᲔᲚᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲘᲜᲐᲪᲕᲚᲐ. ᲗᲐᲕᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲐᲡ ᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲡ �გᲘᲝᲠ�გᲘ ᲤᲐᲠᲔᲨᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲞᲐᲞᲐᲡᲙᲘᲠᲛᲐ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲙᲐᲓᲠᲝ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐ ᲣᲐᲠᲧᲝ ᲓᲐ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲘᲤᲐᲠᲒᲚᲐ - „ᲛᲔ ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲕᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲘ, ᲘᲡᲔ ᲕᲛᲣᲨᲐᲝᲑ ᲓᲐ ᲐᲠᲡᲐᲓ ᲬᲐᲡᲕᲚᲐᲡ ᲐᲠ ᲕᲐᲞᲘᲠᲔᲑ“. ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐ ᲛᲙᲐᲪᲠᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲒᲘᲝᲠ�გᲘ ᲤᲐᲠᲔᲨᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ. ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲤᲐᲠᲔᲨᲘᲨᲕᲘᲚᲘ "ᲓᲐᲘᲦᲐᲚᲐ" ᲤᲝᲗᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲑᲐᲡ ᲒᲔᲒᲛᲐᲕᲡ. ᲤᲐᲠᲔᲨᲘᲨᲕᲘᲚᲘ "ᲓᲐᲘᲦᲐᲚᲐ" ᲤᲝᲗᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲑᲐᲡ ᲒᲔᲒᲛᲐᲕᲡ. ᲤᲐᲠᲔᲨᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲙᲘ ᲐᲠᲐ ᲗᲣ ᲬᲐᲡᲕᲚᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲨᲝᲠᲡᲛᲔᲓᲒᲕᲔᲚᲘ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲡ. ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲐᲠᲐᲡ�წᲝᲠᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲕᲠᲪᲔᲚᲓᲔᲑᲐ: „ᲨᲔᲣᲪᲕᲚᲔᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲔᲪ. ᲓᲐᲠ�წᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲩᲔᲛᲖᲔ ᲣᲙᲔᲗ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ. ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲔᲛᲛᲐ ᲙᲝᲚᲔ�გᲐᲛ ᲛᲘᲡᲘᲕᲔ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘᲗ ᲓᲐᲢᲝᲕᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲐ. ᲗᲣ ᲩᲔᲛᲡ ᲬᲐᲡᲕᲚᲐᲖᲔᲪᲐᲐ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ, ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲐᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲝᲜ, ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲜᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲕᲓᲘᲕᲐᲠ ᲗᲣ ᲛᲘᲨᲕᲔᲑᲔᲜ. ᲗᲣ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲜᲔᲑᲘᲗ ᲬᲐᲡᲕᲚᲐᲖᲔᲐ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ, ᲐᲠᲡᲐᲓ ᲬᲐᲡᲕᲚᲐᲡ ᲐᲠ ᲕᲐᲞᲘᲠᲔᲑ".

ᲤᲐᲠᲔᲨᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲝᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲐᲦᲘᲖᲘᲐᲜᲐ "ᲤᲝᲗᲘᲗ ᲓᲐᲦᲚᲐᲛ": „ᲠᲐᲡ ᲥᲕᲘᲐ ᲓᲐᲕᲘᲦᲚᲔ? ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲦᲚᲔᲑᲘ. ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲛᲣᲨᲐᲝᲑ, ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲦᲐᲚᲝ ᲙᲘᲓᲔᲪ. ᲩᲔᲛᲘ ᲩᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲓᲐᲜ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ, ᲛᲔ ᲩᲔᲛᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲡ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲕᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲕᲪᲓᲘᲚᲝᲑ, ᲡᲘᲜᲓᲘᲡᲘᲔᲠᲐᲓ ᲓᲐᲕᲐᲡᲠᲣᲚᲝ ᲓᲦᲔ, ᲓᲐᲕᲘᲮᲐᲠᲯᲝ ᲘᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲘᲠᲬᲝᲜᲔᲓ, ᲠᲝᲛ ᲛᲔ ᲕᲐᲠ ᲐᲛ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲑᲐᲢᲝᲜᲘ. ᲕᲘᲜᲛᲔ ᲗᲣ ᲗᲕᲚᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲔ ᲐᲠ ᲕᲐᲠ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲛᲝᲮᲔᲚᲔ, ᲔᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲐ. ᲧᲝᲕᲔᲚ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲔ ᲪᲣᲓᲐᲓ ᲕᲛᲣᲨᲐᲝᲑ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲡ �გᲐᲛᲝ ᲛᲘᲨᲕᲔᲑᲔᲜ, ᲐᲠᲐᲡ�წᲝᲠᲘᲐ. ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲙᲐᲠ�გᲐᲓ �გᲐᲛᲘ�გᲝᲗ - ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲐᲠᲡᲐᲓ ᲐᲠ ᲣᲨᲕᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲡ ᲡᲐᲓᲛᲔ ᲬᲐᲡᲕᲚᲐᲡ. ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲔᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲛᲝᲬᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲔᲖᲔᲐ, ᲩᲕᲔᲜ, ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲡ, ᲘᲓᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ. ᲐᲠᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲐᲠᲐᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡᲐ, ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲐᲗᲐ ᲒᲐᲓᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲡ. ᲕᲘᲓᲠᲔ ᲩᲐᲕᲗᲕᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲛᲔ ᲕᲐᲠ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲕᲐᲠ, ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲛᲣᲨᲐᲝ. ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲩᲐᲕᲗᲕᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲡᲮᲕᲐᲒᲐᲜ ᲣᲤᲠᲝ ᲕᲘᲥᲜᲔᲑᲘ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ, ᲬᲐᲕᲐᲚ. ᲕᲗᲕᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲕᲛᲣᲨᲐᲝ. ᲘᲥ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲕᲐᲠ. ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲡ ᲔᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲥᲐᲚᲐᲥᲐᲓ ᲛᲘᲛᲐᲩᲜᲘᲐ. ᲠᲐᲪ ᲒᲐᲛᲘᲙᲔᲗᲔᲑᲘᲐ, ᲐᲛ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲕᲐᲐ. ᲛᲐᲓᲚᲘᲔᲠᲘ ᲕᲐᲠ ᲤᲝᲗᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.. ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲦᲘᲐᲓ ᲕᲣᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑ ᲐᲛ ᲥᲐᲚᲐᲥᲡ ᲓᲐ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲓᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ. ᲛᲔ ᲕᲐᲛᲐᲧᲝᲑ ᲤᲝᲗᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲗᲣ ᲓᲐᲕᲘᲦᲐᲚᲔ. ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲕᲐᲠ ᲐᲥ ᲧᲝᲤᲜᲘᲗ. ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲕᲐᲠ. ᲔᲠᲗᲘ ᲡᲣᲚᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ. ᲐᲥ ᲠᲝᲓᲘᲡ ᲓᲐᲕᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘ".

ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲡᲩᲐᲜᲡ, ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲡᲐᲙᲐᲓᲠᲝ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲮᲓᲔᲑᲐ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲨᲘ

ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

ᲙᲣᲠ ᲠᲔᲚᲡᲔᲑᲖᲔ ᲓᲒᲝᲛᲐ ᲐᲠ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲕᲚᲐᲜᲫᲓᲝᲗ ᲓᲐ ᲕᲐᲒᲘᲜᲝᲗ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲒᲝᲜᲔᲑᲐᲡ ᲛᲝᲣᲮᲛᲝᲡ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲛᲮᲐᲠᲔᲛ ᲓᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲣᲚᲔᲑᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ".

ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲬᲕᲐᲕᲔ ᲨᲔᲤᲡᲑᲔᲑᲐ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ „ᲨᲔᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ ᲛᲐᲘᲐ ᲩᲮᲐᲠᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ: „ᲖᲝ�გᲐᲓᲐᲓ, ᲔᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ "ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲬᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ". ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲢᲣᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ“ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲓᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲡ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲘᲧᲝ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲧᲘᲓᲕᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲗᲐᲜᲮᲘᲗ, ᲘᲡᲔ ᲡᲮᲕᲐ ᲤᲝᲠᲛᲘᲗ. ᲐᲓᲐᲠ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲔ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲐ. ᲐᲛᲐᲖᲠᲗᲔᲜ ᲓᲐ ᲑᲘᲜᲫᲣᲠ ᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲓ ᲛᲘᲛᲐᲩᲜᲘᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲐᲡ ᲐᲗᲘ ᲓᲦᲔᲗ ᲐᲓᲠᲔ ᲩᲐᲛᲝᲬᲚᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲡᲘᲡᲐᲐᲫᲒᲚᲔ ᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ“- ᲒᲐᲒᲕᲘᲑᲠᲐᲖᲓᲐ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲪ ᲙᲘ ᲕᲔᲠ ᲕᲙᲘᲗᲮᲔᲗ.

ᲒᲘᲕᲘ ᲡᲐᲮᲝᲙᲘᲐᲡ ᲗᲥᲛᲘᲗ: "ᲗᲣ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲢᲣᲠᲨᲘ „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲝᲑᲓᲐ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲣᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲪ“ ᲒᲐᲐᲥᲢᲘᲣᲠᲓᲐ. ᲗᲣ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲢᲣᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲨᲕᲘᲓᲘ ᲘᲧᲝ, ᲮᲝᲚᲝ „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ“ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲘᲡᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲮᲨᲘᲠ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲣᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲪᲔᲠᲗᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲢᲝᲚᲡ ᲐᲠ ᲣᲓᲔᲑᲡ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲜᲫᲓᲒᲐᲨᲘ. ᲑᲝᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲑᲝᲚᲝᲡ, ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲕᲔᲩᲕᲘᲗ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲕᲔᲨᲕᲐᲗ ᲡᲘᲫᲣᲚᲕᲘᲚᲘᲡ ᲔᲜᲘᲗ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲡ“.

ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲣᲚᲗᲐ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲕᲘᲒᲔᲗ, ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲠᲔ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲐᲜ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ ᲓᲐᲣᲨᲕᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲛᲐᲗᲗᲝᲕᲘᲡ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲔ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲐᲡ ᲐᲗᲘᲗᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲓᲘᲡᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲙᲠᲣᲚᲘ ᲑᲐᲜᲔᲠᲔᲑᲘ?

„ᲠᲐᲡ ᲮᲔᲓᲐᲕᲗ ᲓᲘᲡᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲪᲘᲣᲚᲡ? ᲛᲘᲨᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲜ, ᲐᲠ ᲘᲪᲘᲗ ᲗᲥᲕᲔᲜ? ᲐᲑᲐ, ᲐᲠᲐᲓᲘᲡᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲮᲐᲚᲮᲡ ᲠᲝᲛ ᲐᲬᲐᲛᲔᲑᲓᲜᲔᲜ, ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲛᲔᲜᲔᲑᲡ ᲐᲢᲔᲠᲠᲝᲠᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲕᲘᲜ ᲩᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲡᲘᲡᲐᲐᲫᲒᲚᲔ ᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ“- ᲒᲐᲒᲕᲘᲑᲠᲐᲖᲓᲐ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲪ ᲙᲘ ᲕᲔᲠ ᲕᲙᲘᲗᲮᲔᲗ.

"ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ" ᲘᲡᲔ ᲒᲐᲗᲐᲕᲮᲔᲓᲓᲐ, ᲐᲠ ᲔᲒᲝᲜᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲣᲠᲘ ᲗᲣ ᲓᲐᲭᲘᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ. ᲘᲛᲔᲓᲘᲐ, ᲮᲐᲚᲮᲛᲐ ᲛᲐᲡ ᲐᲩᲕᲔᲜᲐ, ᲠᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ. ᲛᲔ ᲘᲡᲔᲒ ᲛᲐᲗ ᲐᲕᲘᲠᲩᲔᲕ".

"ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲔᲠᲗᲘ ᲭᲘᲠᲘᲐ. ᲐᲠᲪᲔᲠᲗᲡ ᲐᲠ ᲕᲐᲫᲚᲔᲕ ᲮᲛᲐᲡ. ᲐᲡᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲨᲕᲘᲓᲐᲓ ᲕᲘᲥᲜᲔᲑᲘ" - ᲒᲕᲘᲗᲮᲠᲐ ᲨᲣᲐᲮᲜᲘᲡ ᲛᲐᲛᲐᲪᲐᲪᲛᲐ.

ᲣᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝ ᲫᲐᲦᲚᲔᲑᲘ - ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ

ᲗᲔᲙᲚᲐ ᲛᲐᲢᲙᲐᲕᲐ
ᲤᲝᲗᲘ

ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲝᲛᲠᲐᲕᲚᲓᲐ ᲣᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘ,

დარეჯან ცხვიტარია: ,,არ მივცემთ არჩევნების გაყალბების საშუალებას. ამისთვის მომზადებულნი ვართ,,

თეკლე მაჭკავა
ფოთი

ცესკოს გადაწყვეტილებას საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის ოთხშაბათ დღეს ჩატარებას პროტესტი მოაყოლა ნაციონალურმა მოძრაობამ. ასევე მიუღებელი აღმოჩნდა არასამთავრობო ორგანიზაციებისთვისაც იმის მიუხედავად, რომ ეს დღე უქმედ გამოცხადდა. წინასაარჩევნო მოსამზადებელი პერიოდი მწვავე დაპირისპირებების ფონზე მიმდინარეობს, ისმის ურთიერთბრალდებები და ”ტალახის სროლები” ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის.

გაერთიანებული ოპოზიციის „ძალა ერთობაშია“ ფოთის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე დარეჯან ცხვიტარიას თავისი გუნდის ე.წ „კოზირად“ მიაჩნია მოტივაცია, რომ დაასრულონ ეს მთავრობა: „ხელისუფლებას გაყალბების გარდა სხვა გზა არ აქვს. ჩვენ შერჩეული გვყავს ერთგული ხალხი, რომ დავუმტკიცოთ და აღმოვფხვრათ ის ვერაგობა, რასაც ისინი ფიქრობენ. კანონის ფარგლებში, არ მივცემთ არჩევნების გაყალბების საშუალებას. ამისთვის მომზადებულნი ვართ. ვატარებთ ტრენინგებს, რჩეული წარმომადგენლობა გვყავს უბნებზე, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები არიან წარმოდგენილნი, ჩვენ მზად ვართ, ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ არჩევნები არ გაყალბდეს. არჩევნების წინ გამართულ ბრიფინგზე ცხვიტარიამ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე და საარჩევნო ბარათებზე გაამახვილა ყურადღება: “ხელისუფლებას არაფერი დარჩა არჩევნების გაყალბების გარდა და ამ პროცესში ყველა საჯარო მოხელე ჩართულია. მათ არჩევნების გაყალბება უკვე დაწყებული აქვთ. გამოყენებულია საჯარო რესურსი, პროცესში ჩართულები არიან საბავშვო ბაღების დირექტორები, აღმზრდელები, საჯარო სკოლების პედაგოგები, ა(ა)იპ-ებისა და სსიპ-ების თანამშრომლები. დანელიას ქუჩიდან ერთი მოქალაქე დამიკავშირდა, რომლის ვინაობას ვერ გავამხელ, რომ უხერხულ მდგომარეობაში არ აღმოჩნდეს. თურმე ხმების სანაცვლოდ ამომრჩევლებისთვის 150-150 ლარი დაურიგებიათ. სახელმწიფო მანქანა ამუშავებულია ქართველი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ“.

როგორც ცხვიტარია ხშირად აღნიშნავს, ეს არჩევნები მხოლოდ საპრეზიდენტო არჩევნები არ არის. მისი თქმით ეს არჩევნები ქართველი ხალხის ღირსების რეფერენდუმის ჩატარებაა: “საქართველო უნდა გადარჩეს და წავიდეს წინ, რომ არ გაქრეს ორბიტიდან და არ ჩაეფლოს ჭაობში. ეს არ არის მარტივი არჩევნები – ვირჩევთ პრეზიდენტს და დამთავრდა. ეს არის ქვეყნის მომავლის გადარჩენის არჩევნები. ხალხის განწყობა ძალიან კარგად ვიცი. ყოველდღიურად ვხვდებით მოსახლეობას, ერთ-ერთმა პირდაპირ მითხრა, რომ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც ქართველი ვაჟკაცები, ჯარისკაცები გამოდიან და ამბობენ, რომ ჩვენ საშიშროება გველის, აღარ ვენდობით ამ მთავრობის მიერ მხარდაჭერილ კანდიდატსო. წულუკიანი პირდაპირ საუბრობს, რომ დაიჭერენ ადამიანებს გენერალიტეტიდან და ჯარისკაცებსაც, უბრალო მოქალაქეებსაც, ვინც თავისი ქვეყნის დაცვაში მიიღო მონაწილეობა. ნიღაბი, რომლითაც ეს ხელისუფლება მოვიდა, თავიდან ბოლომდე თავისივე ხელით ჩამოიხსნეს. მეჩითოვი რომ საუბრობს, 9 აპრილს არ ყოფილა არაფერი, რუსის ჯარს არ აუჩეხია ის 21 დაღუპული ადამიანი დაჭყლეტისას ასპიქსიით გარდაიცვალნენო, ისტორიის გაყალბებაა. ჩემმა თაობამ ეს გამოიარა და მეუბნება,მაშინ ბრმა იყავი,ვერ დაინახე ვერაფერიო. ასეთი ადამიანი უდგას გვერდით სალომე ზურაბიშვილს და მისნაირები. საარჩევნო ბანერებსაც შევეხებით, ეს არის აბსურდის თეატრი, კადიდატი ქალი გადაშალეს და პარლამენტის თავმჯდომარის ბილბორდი ჩამოკიდეს, ასევვე ივანიშვილის, ყოველივე ეს ცინიზმია, რომელიც მიმართულია ქართველი ხალხისადმი. შუა კვირაში დანიშნეს არჩევნები, ოთხშაბათ დღეს. კი, ბატონო, უქმე დღედ გამოცხდდა საქართველოში, მაგრამ ემიგრანტებს ხომ წაართვეს ხმის მიცემის უფლება. შეეშინდათ, რადგან ამჯერადაც დიდი უპირატესობით წააგებდნენ, პირველ ტურში დიდი მხარდაჭერა გვქონდა - 57 % ემიგრანტების საბოლოო სიით“ . რა მოლოდინი აქვთ მეორე ტურიდან, ცხვიტარიას ერთი პროცენტითაც არ ეპარება ეჭვი გამარჯვებაში და სასწრაფოდ მთავრობის შეცვლა აქვთ გადაწყვეტილი, რადგან პრეზიდენტი დიდი უფლებების მატარებელი ვერ გახლავთ საქართველოში: “დაინიშნება ვადამდელი არჩევნები. არ ვიცი, თვითმმართველობის არჩევნებამდე როგორ დავა ეს არჩევნები, მაგრამ საპარლამენტო არჩევნები რომ უნდა ჩატარდეს, ეს გარდაუვალია. უკიდურეს მდგომარეობაშია ქვეყანა და სხვანაირად ვერ გამოვა, პრეზიდენტს არ აქვს ძირეული ცვლილებების განხორციელების უფლება. ესენი უმრავლესობაში არიან და რაც უნდა ძლიერი იყოს პრეზიდენტი, მაინც მარწუხებში მოაქცევენ. მათ მიერ არჩეულ და მხარდაჭერილ პრეზიდენტს ავიწროებდნენ,

დასასრული 4-გვ.

საპენსიო ცვლილებები საქართველოში

თეკლე მაჭკავა
ფოთი

საქართველოს მთავრობამ საპენსიო მოდელის შეცვლის გადაწყვეტილება კარგა ხანია მიიღო. საუბარია, ევროპის განვითრებული ქვეყნები მსგავსად, საპენსიო ასაკამდე საპენსიო ფონდში თანხების დაგროვების თაობაზე. 2019 წლის 1 იანვრიდან კი ძალაში შევა ახალი კანონი - ყველა დასაქმებულს ყოველთვიურად დაუბეგრავი ხელფასის 2 % ჩამოეჭრება, რომელიც საპენსიო ანგარიშზე გადავა. კანონის მიხედვით, ამ სქემაში ჩართვა სავალდებულოა 40 წლამდე ასაკის პირებისთვის, ხოლო 40 წლის ზევით კი ნებაყოფლობითია. კანონით, სისტემაში ჩართვა სავალდებულოა ყველა დასაქმებული ადამიანისთვის, ხოლო ნებაყოფლობითია ნებისმიერი თვითდასაქმებულისათვის.

ცნობილია, რა პროცენტულობით ხდება საპენსიო ანგარიშზე ყოველთვე თანხის დაგროვება. დასაქმებულის ანგარიშზე დაუბეგრავი ხელფასის 6 % გროვდება. საიდანაც 2% დასაქმებულს ხელფასიდან აკლდება, 2 % დამსაქმებელი იხდის, დანარჩენს კი სახელმწიფო. ამის შემდეგ, წლების დაგროვილ თანხას დაემატება პროცენტი. ახალი კანონი, ერთი შეხედვით, არ ჩანს ურიგო, მაგრამ ჩვენ წარსული არ გვაძლევს საშუალებას, მცირედი ეჭვი მაინც არ დაგვებადოს, რადგან კარგად გვახსოვს საქართველოს უამრავი მოქალაქის ანაბრების“უგზო-უკვლოდ გაქრობა”. ამიტომაც რისკებზე საუბარს გვერდს ვერ ავუვლით. არსებობს ეჭვები იმასთან დაკავშირებითაც, რამდენად რელევანტური იქნება დაგროვილი თანხა მოქალაქის საპენსიო ასაკამდე.

საპენსიო სააგენტო, რომელსაც ჩვენი თანხების კონტროლი ჩაებარა, დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, რომელზეც წვდომა არ აქვს არც სასამართლოს, არც ბანკს. არ მოხდება ანგარიშიდან არანაირი საბანკო ვალდებულების შესრულება. ამიტომ ამ კუთხით მოსახლეობას შიშის საფუძველი არ აქვს, მაგრამ სახელმწიფო თავად „მოიხმარს“ ჩვენი ხელფასებიდან შესულ თანხებს, ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, ისესხებს ჩვენგან. კანონიდან ჩანს, როგორც კი ეს რეფორმა განხორციელებას დაიწყებს, პირველი 5 წლის განმავლობაში „საპენსიო აქტივების ინვესტირება მხოლოდ ნაკლებად რისკიან საინვესტიციო პორტფელში ჩაიდება“- რაც ნიშნავს იმას, რომ ჩვენი თანხები განთავსდება მთავრობის მიერ

გამოშვებულ ფასიან ქაღალდებში.

როგორც აღვნიშნეთ, ახალი კანონი დამსაქმებლებს ავალდებულებს დასაქმებულის ხელფასის 2 %-ის შეტანას სახელმწიფოს ბიუჯეტში, რაც თავისთავად ზრდის დამატებით ხარჯებს. დამსაქმებლისგან განსხვავებით, კომპანიებს არ აქვთ არჩევანის საშუალება -ისინი ამ რეფორმაში ავტომატურად ერთვებიან. უფრო კარგად რომ განვმარტოთ, კომპანიებს აქვთ ორი სავარაუდო მიმართულება: 1. მაგალითად, კომპანიამ ჩარიცხოს საპენსიო ფონდში 2% ისე, რომ დასაქმებულის ხელფასის ოდენობა არ შემცირდეს. თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში დამსაქმებელს ეზრდება ხარჯები და მეორე, კომპანია საპენსიო ფონდში ჩასარიცხ 2% მოაკლებს არსებულ ხელფას და ასე მოხდება საპენსიო ფონდში თანხის ჩაშვება.

საინტერესოა, რას ფიქრობენ ბიზნესმენები ხსენებულ რეფორმასთან დაკავშირებით და რამდენად მზად არიან ამ კანონის შესასრულებლად. როგორც ფოთის აგრარული ბაზრის დირექტორმა ნოდარ კორსანტიამ გვითხრა, მისთვის უცნობია ეს სიახლე და ეჭვით უყურებს დაანონსებულ რეფორმას: „თავის დროზე, მე თავად ვაკეთებდი ამას მოსკოვში და გეტყვით, რომ იქ არ გაამართლა. აქ როგორ იქნება, არვიცი. სიმართლე გითხრათ, თქვენგან გავიგე ახლა ამ ცვლილებების შესახებ და არ ვიცოი რას მავალდებულებს სახელმწიფო, მაგრამ მე, როგორც ბიზნემენს, მიმაჩნია, რომ ჩემთან დასაქმებული ადამიანები არ არიან მზად თავიანთი ხელფასებიდან გადაიხადონ 2 %. ძალიან დიდი სამუშაო უნდა გაწიოს

დასასრული 4-გვ.

ევროკავშირის გრანტი ფოთს

ივეტა პაჭკორია
ფოთი

ფოთის ადგილობრივი ხელისუფლება 2019 წლის ბოლოსკენ გეგმავს საქართველოს მასშტაბით, იყოს პირველი თვითმართველობის განვითარების, გაძლიერების, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, საჯაროობისა და გამჭვირვალობის კუთხით. მიმდინარე წლის დეკემბრის დასაწყისიდან დაიწყება ურთიერთობის ახალი ეტაპი ადგილობრივ ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის.

ევროკავშირის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში, რომელიც გულისხმობდა საქართველოს რეგიონებში თვითმმართველობის განვითარებას, გაძლიერებას, ხელმისაწვდომობას, საჯაროობას, გამჭვირვალობას, ადგილობრივი თვითმართველობა არასამთავრობო ორგანიზაციასთან პარტნიორობით გრანტის მფლობელი გახდა. კონკურსის ფარგლებში 300 განაცხადი იყო მიღებული. გადარჩევა მოხდა სამ ეტაპად და ევროკავშირის გადაწყვეტილებით, 300 კონკურსანტს შორის შეარჩია ორი - ფოთი და ქუთაისი. გრანტის ხანგრძლივობა 3 წელია.

უნდა აღინიშნოს, რომ საკონკურსო განაცხადის ინიციატორი მერის მოადგილე გიორგი ფარეშიშვილი გახლდათ: „ეს არის უპრეცენდენტო შემთხვევა ფოთისთვის. მოსამზადებელი ეტაპი გაგრძელდა სამი თვე, პროექტი შეთანხმებული იყო მერთან, მოადგილეებთან და საკრებულოს თავმჯდომარესთან. არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად ვიძიებდით, რა იყო პრობლემა თვითმმართველობის მუშაობაში, სად გვქონდა ჩავარდნა და რა მიმართულებით გვჭირდებოდა დახმარება. მთლიანად პროექტი აიგო თვითმართველობის საჭიროებაზე. ეს არის ტექნიკური მიმართულება, მაგალითად საკრებულო ისე აღიჭურვება ტექნიკურად, რომ საკრებულოს ყველა სხდომა გავა პირდაპირ ეთერში. მოქალაქეს არ დასჭირდება მერიაში მოსვლა და ნებისმიერი პეტიცია იქნება თუ განცხადება, გამოაგზავნის ელექტრონულად. მაქსიმალურად გამარტივდება მოსახლეობის ურთიერთობა თვითმმართველობასთან. ყველა საჯარო დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი გახდება მოსახლეობისათვის. ყოველივე ეს დიდ თანხებთანაა დაკავშირებული, რაც ჩვენს ბიუჯეტს არ გააჩნია, ამიტომ მოვიძიეთ ეს გზა“- აღნიშნა მერის მოადგილემ ჩვენთან საუბარში.

აღნიშნული გრანტის თანახმად, 2019 წლის მეორე ნახევრიდან ადგილობრივ თვითმართველობას ექნება შესაძლებლობა გრანტის ფარგლებში, კონკურსის საშუალებით, გასცეს შიდა გრანტები მცირე მეწარმეებისათვის. ფარეშიშვილის განმარტებით: „გაიცემა ათი მცირე გრანტი სხვასასხვა მიმართულებით. ამით მოსახლეობას შეუძლია საკუთარ თავზე გამოსცადოს ევროკავშირის თანადგომა. ასევე, 20 მიმართულებით მერიასა და აიპებში დასაქმებული ყველა თანამშრომელი გადამზადდება. საინფორმაციო სამსახურიც აღიჭურვება ტექნიკით. გრანტის აღებიდან ერთი წლის თავზე, ადგილობრივი ხელისუფლება საქართველოს მასშტაბით, თვითმმართველობის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, პირველობას გეგმავს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ხელმისაწვდომობა და დღეს არსებული ინდექსი გაიზრდება. ჩვენ 173 მუნიციპალიტეტს შორის 150-ე ადგილზე ვართ ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. 2019 წლის ბოლოსაკენ ვგეგმავთ პირველ სამეულში მოხვედრას ამ კუთხით. მიმდინარე წლის დეკემბრიდან დაიწყება გრანტის განხორციელება. ფოთი უკვე აღმოჩნდა ევროკავშირის რუქაზე როგორც სანდო პარტნიორი. ოზურგეთია ამის მაგალითი. ის გამჭვირვალეობისა და ხელმისაწვდომობის კუთხით იყო საქართველოში ბოლო ადგილზე გახლდათ. მსგავსი გრანტის საშუალებით კი ეს რეგიონი დღეს პირველ ადგილზეა“. რა ნიშნით გამოირჩა 300 კონკურსანტიდან ფოთი. მერის მოადგილე თვლის, რომ პირველ რიგში ეს იყო საჭიროება: “ალბათ დავარწმუნეთ ჩვენი ევროპელი პარტნიორები, რომ შეგვეძლო ამ ყველაფრის მაღალკვალიფიციურად შესრულება“.

პროექტი სამწლიანია და საგრანტო თანხა შეადგენს 345 ათას ევროს.

ადგილობრივ ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის კომუნიკაციის დაბალ მაჩვენებელზე ადგილობრივ მოსახლეობას ჩვენთან საუბარში არაერთხელ დაუჩივლია. მათ უძნელდებოდათ როგორც ურთიერთობა, ისე ინფორმაციის მიღება თვითმმართველობის ორგანოებიდან.

იმედია, ეს პროექტი მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის ურთიერთობის სტანდარტს აამაღლებს და გაამართლებს ევროკავშირის მიერ გამოხატულ ნდობასაც.

საპენსიო ცვლილებები საქართველოში

დასაწყისი 3-გვ.

სახელმწიფომ რომ მოსახლეობამდე სწორად მიიტანოს ეს გადაწყვეტილება. ჩვენს მოქალაქეებს ისედაც მცირე ანაზღაურება აქვთ, ძლიან მძიმე სოციალური ფონია შექმნილი სახელმწიფოში. ამიტომაც ვფიქრობ, რომ მსგავსი ცვლილებისთვის არც ქვეყნის მოქალაქეები არიან მზად და არც ბიზნესმენები“- გვითხრა კორსანტიამ.

„მთავარი თემა სამეგრელოში“ დაინტერესდა, საზოგადოებისთვის არის თუ არა ცნობილი მოსალოდნელი სიახლე და რამდენად მისაღებია ახალი კანონი მათთვის. გამოკითხულთა უმრავლესობამ არაფერი იცოდა სიახლის შესახებ, არ იცოდნენ, რომ იანვრიდან მოხდებოდა ხელფასების შემცირება და არც ის, სად წავა მათი ხელფასის 2%. ზოგისთვის მისაღები აღმოჩნდა ეს კანონი, ზოგისთვის - პირიქით.

სოსო სკურიდინი - „სანამ ეს მთავრობა იქნება, არაფერი ეშველება ჩვენს ხალხს. ახლა ისიც მოინდომეს, რომ „კაპიკი“, რაც გააჩნია ხალხს, ისიც ამოაცალონ ჯიბიდან”

ანუელა თითმერია - “ეს რეფორმა, რომლის შესახებ თქვენგან შევიტყვე, არ გაამართლებს, თუნდაც იმიტომ, რომ ვერ ვენდობით სახლმწიფოს, რომელმაც წლების წინ ანაბრები “შეგვიჭამა”. ვერ ვენდობით, რადგან დაბრუნების გარანტია არ არსებობს. ევროპას ნამდვილად ვერ შევედრებით“.

ლევან შონია „ მე ახალგაზრდა ადამიანი ვარ, ვმუშაობ და მინდა, რომ საპენსიო ასაკამდე ღირსეულად მივიდე, შესაბამისად, მსურს ღირსეული სიბერე მქონდეს. დასაფიქრებელი საკითხია, მაგრამ ვფიქრობ, ოდესმე სახელმწიფო უნდა დაემსგავსოს სახელმწიფოს. რომ ვიძახით ევროპას, მისგან კარგი მაგალითის აღება ხომ არის შესაძლებელი? ვფიქრობ, ცუდი რეფორმა არ უნდა იყოს, მე ვენდობი ამ შემთხვევაში სახელმწიფოს და ჩემივე მომავალი კეთილდღეობისთვის გადავიხდი ხელფასის 2 %“.

უპატრონო ძაღლები - საფრთხის შემცველი პრობლემა

დასაწყისი 2-გვ.

წილს. ასევე, მაწანწალა ძაღლები ინფექციური დაავადებების გავრცელების რისკს ქმნიან. რამდენიმე კვირაა, დასახლებაში დაიწყო საუბარი, რომ გავრცელებულია ინფექცია, რომელიც პროვოცირებულია უპატრონო ძაღლებიდან.

ჩვენ ამ პრობლემაზე სასაუბროდ შევეცადეთ დავკავშირებოდით ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას, რომელიც ახორციელებს ძაღლების გაყვანას ქალაქიდან. სამწუხაროდ, ამ სამსახურთან დაკავშირება სულაც არ აღმოჩნდა ადვილი, ან არ იღებდნენ ტელეფონს, ან გასული იყვნენ მომსახურების ზონიდან. ბოლოს როგორც იქნა დავუკავშირდით აღნიშნული ორგანიზაციის წარმომადგენელს გიორგი მაღლაფერიძეს. როგორც მან გვითხრა: “ხელშეკრულების თანახმად წელიწადში 363 ძაღლი უნდა გავიყვანოთ. აბსოლიტურად ყველა ძაღლს ვაბრუნებთ უკან. ავადმყოფობის შემთხვევაში ვმკურნალობთ და შემდეგ განკურნებულს ვუშვებთ. ადამიანებზე ძაღლის დაავადებები არ გადადის. ახალ რაიონში ახალი ამერიკა აღმოუჩენიათ, ადამიანზე მხოლოდ გადადის მუნი”.

დარეჯან ცხვიტარია: „არ მივცემთ არჩევნების გაყალბების საშუალებას. ამისთვის მომზადებულნი ვართ„

დასაწყისი 3-გვ.

თუ მათთვის სასიკეთო რამ არ კეთდებოდა. ჩვენ მოვდივართ ქვეყნის გადასარჩენად. ახირება კი არ გვაქვს, რომ დავიკმაყოფილოთ, არამედ ამ ქვეყანას უნდა ეშველოს და მოხდეს ფუნდამენტური ცვლილებები, სხვანაირად არ გამოვა, არ გამოვა 400 ლარიანი პენსია, პედაგოგის 1000 ლარიანი ანაზღაურება. ყველაფერია გათვლილი წინასწარ. ასეთ უკიდურეს მდგომარეობაშია სახელმწიფო, დაძაბეს სიტუაცია თვალიდან არ ამომდის, სამშობლოსათვის თავდადებული ბიჭები სასწორზე რომ დადეს, თქვენ როგორ ფიქრობთ, რაც უნდა გააკეთოს ამ ხელისუფლებამ, ხალხი მხარს დაუჭერს? ეს ხელისუფლება რომ ფიქრობდეს, ზრუნავდეს, დამთვრდებოდა, მაგრამ ამათ სამშობლო კი არ აწუხებთ, ამათი აღტკინებაა სკამები, იმისთვისაც იბრძვიან, რომ ის მოპარული მილიონები და მილიარდები საკუთარ კეთილდღეობას მოახმარონ, აშენებულ ფეშენებელურ სახლებზე არ მოუწიოთ პასუხისგება. ამიტომ აკეთებენ ყველაფერს, ტყავს იძრობენ და სურთ გამარჯვება, მაგრამ სულ რომ თავით იაროან, არაფერი უშველის ამ მთავრობას მაინც. ეს მთავრობა განწირულია და უნდა შეეგუონ, რომ ვადა ამოეწურათ, მოსახლეობამ უთხრა მტკიცე არა, ჩვენც ვიყავით მთავრობაში და არასდროს გვყოლია ჩვენს გვერდით სამშობლოს მოღალატეები, ჩვენ გვქონდა შეცდომები. ციხის კადრებით მოვიდნენ ამ მთავრობაში და გვაბრალებენ, რომ საშინელებებს ვაკეთებდით, ყველა ციხეში რატომ მოვიგეთ არჩევნები?! გლადანში, გეგუთში, რუსთავში, ქუთაისში?! კითხვა არ უჩნდება ამ ხალხს, რატომ მოვიგეთ სასჯელაღსრულების დეპარტამენტში, თუ ასეთი მკაცრები ვიყავით?!

ვახტანგ ალანია: „ეს ჩემი ადგილია და მე ბედნიერი ვარ სწორი არჩევანით„

თეკლე მატკავა
ფოთი

ბოლო წლებში საქართველოში ბიზნესსექტორი უფრო პასუხიმგებლიანი გახდა საზოგადოებისა და მოქალაქეების წინაშე, რომლებიც საჭიროებენ მათგან დახმარებას, თუმცა, ქველმოქმედების გარდა გარემოს დაცვითი გამოწვევების პრიორიტეტულ მიდგომებშიც შეცვალეს დამოკიდებულება. დასაქმებულთა უფლებების დაცვას, თანამშრომელთა შრომის უნარიანობის შეფასება და სხვას ყურადღებას უთმობენ. სწორედ ასეთი სოციალური აქტივობითაა შესაძლებელი ბიზნესი უფრო ეფექტიანი გახდეს და გაიზარდოს კომპანიის მოგება. კომპანია „სოფმარი“ ერთ-ერთი კომპანიაა ასეთ კომპანიებს შორის. უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებულმა კომპანიამ მსგავსი ნაბიჯები გაცილებით ადრე გადადგა, ვიდრე ამას მასიური სახე მიეცემოდა. არაერთი მიმართულებით ჰქონდა კომპანიას აღებული პასუხისმგებლობა თავისი მოქალაქეების მიმართ. კერძოდ, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს წლების განმავლობაში ეხმარება და უმსუბუქებს ყოველდღიურ ცხოვრებას, სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებას აფინანსებს და ეხმარება ახალგაზრდებს, რომლებსაც აქვთ იდეები, თუმცა მათ განსახორციელებლად არ გააჩნიათ ფინანსები. „ქველმოქმედებაა ჩემი სურვილი. არ არის ეს ახალი სიტყვა და მდგომარეობა. ქველმოქმედებას ადამიანი შექმნის დღიდან ეწევა და ეს ნორმალურია. როგორც კი ორგანიზაციას გაუმოუჩნდა ფინანსური საშუალება, დავიწყეთ ამ მიმართულებით აქტივობა. ვეხმარებით უწეო ადამიანებს, ბავშვებს, რომლებსაც ესაჭიროებათ მკურნალობა, განათლების სფეროშიც ვეხმარები ბავშვებს, ხშირად ტარდება კულტურული ღონისძიებები, არასამთავრობო ორგანიზაციებს ვეხმარებით ფინანსურად. წლებია, ვეხმარებით კონკრეტულ ადამიანებს“ –აღნიშნა ჩვენთან საუბარში კომპანიის მფლობელმა ვახტანგ ალანიამ.

ქალაქში ხშირად საყვედურით საუბრობენ მკვიდრ მილიონერებზე (როგორც ირკვევა, არც თუ ცოტანი ყოფილა), თუმცა, ქალაქს და ქალაქში არსებულ თუნდაც სპორტულ მიმდინარეობებს ნაკლებად ატყვია “ფინანსური მათი ხელი”. გამონაკლისად ითვლება ნიჩბოსნობა,რომლის პრეზიდენტი თავად ბატონი ვახტანგ ალანია გახლავთ. იგი წლების განმავლობაში მხარში უდგას სპორტის ამ სახეობას და უწევს პოპულარიზაციას. თავად ყოფილი სპორტსმენი გახლავთ და მისთვის ნაცნობი გახლავთ, რაოდენ დიდ ფინანსურ მხარდაჭერას საჭიროებს სპორტსმენი.

კომპანია „სოფმარი“ ფინანსურადაც ეხმარება კლუბს და უზრუნველყოფს ტექნიკურადაც. „სოფმარის“ მხარდაჭერით ნავებსა და ნიჩბებს იძენენ. კეთილმოაწყვეს საცხოვრებელი ადგილი, სადაც სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოსულ სპორტსმენებს ბაზაზე დარჩენის და ვარჯიშის საშუალება ეძლევათ და ეს რა თქმა უნდა უსასყიდლოდ. დაახლოებით 15 ბავშვი ვარჯიშობს, მათგან ნაკრების წევრია 5 სპორტსმენი.

“მთავარი თემა სამეგრელოში“ გაესაუბრა სპორტსმენებსაც, რომელიც ვარჯიშობენ ნიჩბოსნობის ბაზაზე. „აკადემიურ ნიჩბოსნობაში მოვედი 15 წლის ასაკში, თავიდან რათქმაუნდა, არ ვიცოდი, რას წარმოადგენდა სპორტის ეს სახეობა. მიუხედავად ამისა, დიდი შრომის შედეგად მივაღწიე კარგ შედეგს, ძალიან კარგ პირობებში გვიწევს ვარჯიში, არის სრული მხარდაჭერა ხელმძღვანელობის და მწვრთნელების მხრიდან და წლიდან წლამდე ვითარდებით“- გვითხრა ერთ-ერთმა სპორტსმენმა.

„აბაშიდან ხშირად მიწევს ხოლმე ჩამოსვლა, აქაც ვვარჯიშობთ ხოლმე, ძალიან კარგი პირობებია შექმნილი სპორტსმენმა კარგად რომ ივარჯიშოს, თანამედროვე ტიპის ნავები და ნიჩბები გვაქვს. . ყველანაირი პირობაა თავის კარგად წარმოსაჩენად“.

ვახტანგ ალანიას თაოსნობითა და ინიციატივით აბაშაში გაკეთდა ბაზა. სანიჩბოსნო ბაზის უქონლობის გამო მსურველებს ფოთში უწევდათ სიარული და ვარჯიში. ნიჩნოსნობის ფედერაციის ინიციატივითა და მატერიალური მხარდაჭერით კლუბი ჩამოყალიბდა. ამ ინიციატავას გამოუჩნდა აბაშელი მოხალისე, რომელმაც გამოყო სავარჯიშოდ საკუთრებაში არსებული ტბორები, ხოლო ამის შემდეგ აბაშის მუნიციპალიტეტმა ნიჩბოსნობის სკოლა გახსნა და შესაბამისი ფინანსური დახმარებაც გამოყო. ვახტანგ ალანიამ ეს სკოლა მოამარაგა ნავებით, ნიჩბებით და მიკრო ავტობუსიც გამოუყო. აბაშის სანიჩბოსნო სკოლის მწრთვნელის გოჩა სიმონიას თქმით, ვახტანგ ალანიას თაოსნობით და ფინანსური მხარდაჭერით, აბაშაში ახალგაზრდებისთვის ძალიან კარგი საქმე გაკეთდა: „პირველად სპორტის ამ სახეობით დავინტერესდი, როდესაც სასწავლებლად ფოთში ჩამოვედი და შემიყვარდა. მქონდა წარმატებული ასპარეზობები. სულ მინდოდა აბაშაშიც ყოფილიყო მსგავსი სკოლა, რათა ახალგაზრდებს ქონოდათ მეტი საშუალება, რომ ჯანსაღი ცხოვრებით ეცხოვრათ. აბაშის მუნიციპალიტეტმა გამოყო ფინანსები და სკოლა დაფუძნდა, რასაც ბიძგი მისცა საქართველოს ნიჩბოსნობის ფედერაციამ და კერძოდ ვახტანგ ალანიამ. მან ტექნიკურად აღჭურვა სკოლა, მოგვამარაგა ნავებითა და ნიჩბებით, ასევე მიკროავტობუსიც გამოგვიყო, რამაც გაგვიადვილა გადაადგილება“.

ვახტანგ ალანიას სახელს უკავშირდება ფოთში საცხენოსნო სკოლის განვითარების მხარდაჭერაც. მან არაერთხელ განახორციელა საცხენოსნო სკოლის ინვენტარიზაცია და ფინანსურადაც დაეხმარა. იგი გახლავთ „მალთაყვის თასის“ დამფუძნებელი, რომელშიც შედის სხვადასხვა სახეობის სპორტი, მათ შორის ცხენოსნობა. მისი ინიციატივით, გასულ წელს ჩატარდა შეჯიბრი „კონკური“ (საცხენოსნო შეჯიბრება დაბრკოლებათა გადალახვაში), რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს რამდენიმე ქალაქიდან ჩამოსულმა 23-მა ცხენოსანმა.

რაც შეეხება ამ კომპანიას და მისი შექმნის ისტორიას: „სოფმარი“ ბაზარზე გამოჩნდა 1991 წლიდან,როცა სახელმწიფოში ხდებოდა ყოველმხრივი ტრანსფორმაცია. ვახტანგ ალანია გახლავთ ორგანიზაციის დამფუძნებელი და დირექტორი. მუშაობა დაიწყო ერთოთახში და დღეს უკვე აქვთ ოფისი თბილისში, ბათუმში, ფოთში, ერევანსა და ბაქოში, დასაქმებული ჰყავს 80 ადამიანი. საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვების და ექსპედირების სფეროში დაიმკვიდრა ადგილი და განვითარდა შემდეგი

დასასრული 6-გვ.

კოლუმბა ვარდა: „ვგრძნობ, რომ ჩემს სახლში მოვედი„

თეკლე მატკავა
ფოთი

„გახსოვდეს, ხის სიმაღლე მიწის ზევიდან კი არ იზომება, ფესვებიდან. შენი ფესვები იქ არის - საქართველოში“. ეს სიტყვები ქართული ფილმიდან – “ფესვებიდანაა” და იგი იმ ისტორიამ გამახსენა, რომელიც უნდა გიამბოთ. როგორც ცნობილ ფილმშია,ამ ისტორიაშიც საფრანგეთი გახლავთ თავშესაფარი ქართველი კაცისა, რომელიც საბჭოთა პერიოდში წავიდა საფრანგეთში და საბოლოოდაც იქ დაიდო ბინა, თუმცა “ფესვები ვერ გაიდგა” და მუდამ სამშობლოს ნატვრაში იყო.

ჩვენს ქალაქს საფრანგეთის ქალაქ ანუედან ფრანგული ფოლკლორული ჯგუფი „საჩუქარი“ ეწვია. სწორედ მისი ერთ-ერთი წევრი გახლდათ კოლუმბა ლუკა ვარდა - ქალბატონი, რომელიც შთამომავალია საქართველოში დაბადებული, გაზრდილი ასირიელი კაცისა. იგი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ემიგრაციაში წასულა საფრანგეთში და დასახლებულა ნორმანდიაში. როგორც კოლუმბამ მიამბო მისი ბაბუა, დედის მამა კონსტანტინე ვარდა დაიბადა 1917 წელს საქართველოში, კერძოდ, მცხეთასთან ახლოს, ქალდაში. კონსტანტინე ვარდა მსახურობდა საფრანგეთის ჯარში სამი წლის განმავლობაში, თურქეთის წინააღმდეგ იბრძოდა, ნოე ჟორდანიას მთავრობის დროს ემიგრაციაში წავიდა. ვარდას ოჯახი არისტოკრატები ყოფილან - რამდენიმე ენაზე საუბრობდნენ - ირანულად, ფრანგულად, რუსულად და ქართულად, ასევე ასიროქალდეულად. ქალბატონი კოლუმბა იმ უცნაურ კავშირსა და განცდებზე საუბრობს, რაც ბავშვობიდან ჰქონდა: „მახსენდება, ბავშვობაში მქონდა უცნაური განცდები საკუთარ თავთან, ვგრძნობდი, თითქოს ვიღაც სხვა ვიყავი, რაღაც ამოუხსნელი განცდები გამაჩნდა. მიმაჩნია, რომ ვარ ქართველი და ასეც ვამბობ ხოლმე. ქართული საუბარი რომ მესმის, არ ვიცი მნიშვნელობა, ვერ ვგებულობ, რაზეა საუბარი, მაგრამ შევიგრძნობ თითოეულ სიტყვას. ქართველები ძალიან სტუმართმოყვარენი არიან და ყველა სტუმარი ამას კარგად გრძნობს, მაგრამ მე ყოველთვის ვგრძნობ, რომ ჩემს ოჯახში, ჩემს სახლში მოვედი“ - გვითხრა ქალბატონმა ვარდამ.

როგორც გვიამბობს, კარგა ხნის წინ უნახავს საბუთის ფოტო, სადაც ეწერა, რომ ბაბუა დაიბადა „ტიფლისში“, საქართველოში, რომელიც მაშინ საბჭოთა კავშირში შედიოდა და რუსეთი ეგონათ. ასე აღმოაჩინა, რომ მისი გვარი და წინაპრები იყვნენ საქართველოდან. დაიწყო ძიება და მიაკვლია საქართველოს პრეფექტურაში კონსტანტინე ვარდას საბუთებს. პირველად რომ ჩამოვიდა საქართველოში, მივიდა ქალდაში და გაარკვია თავისი გვარის წარმომავლობა. როდესაც ბაბუა ემიგრირდა საფრანგეთში, ისევ საბჭოთა კავშირში იყო საქართველო. ის გულისტკივილით იხსენებს იმ პერიოდს, როდესაც პატარა იყო და არ იცოდა თავისი წარმომავლობა: „იმის გამო, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირი იყო და საქართველო მოქცეული იყო რუსეთის ქვეშ, ბაბუასთვის საშიშროებას წარმოადგენდა

დასასრული 6-გვ.

ვახტანგ ალანია: ,,ეს ჩემი ადგილია და მე ბედნიერი ვარ სწორი არჩევანით,,

დასაწყისი 5 - გვ.

მიმართულებით: საზღვაო-სახმელეთო გადაზიდვები; საკონტეინერო გადაზიდვები მთელ მსოფლიოში; საავტომობილო გადაზიდვები ევროპისა და ამიერკავკასიის სივრცეში; სარკინიგზო გადაზიდვები, არაგაბარიტული ტვირთების გადაზიდვა; საბაჟო გაფორმება, სანავსადგურო მომსახურება; გემების აგენტირება.

"სოფმარი" ამ სფეროში თავის დროზე ერთად ერთი კერძო კომპანია იყო და დღესაც ერთ-ერთი პირველი და წარმატებულია. როდესაც ვახტანგ ალანია სააგენტოს ქმნიდა, მისთვის პრიორიტეტს არ წარმოადგენდა პირველობა, თუმცა წლების შემდეგ თვალსაჩინო გახდა, რომ მისი საქმიანობა საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, სააგენტოს შექმნის იდეა მაშინ გაუჩნდა, როდესაც გემზე კაპიტნის თანაშემწედ მუშაობდა, მუშაობის პერიოდში დარწმუნდა, რომ საზღვაო სააგენტოები, ეკონომიკური თვალსაზრისით, მომგებიანი ბიზნესი გახლდათ და გადაწყვიტა ეს მოდელი საქართველოშიც დაენერგა. მან პროფესიონალი ადამიანებით დააკომპლექტა გუნდი და შეუდგა დასახული მიზნის შესრულებას. 27 წელია, ,,სოფმარი" ემსახურება კლიენტებს და ეს ურთიერთობები გადაიზარდა პარტნიორულ-მეგობრულში. ,,სოფმარი" გამორჩეულია თავისი ავტოპარკით. კომპანიას მაღალი სტანდარტების ამერიკული და ევროპული წარმოების მძიმე წონიანი 20 ავტომანქანა ჰყავს, რომლებიც ყოველი რეისის წინ სრულტექნიკურ შემოწმებას გადის. გამოცდილ მძღოლებს ტვირთები გადააქვთ როგორც ქვეყნისშიგნით, ასევე ევროპისა და დსთ-სქვეყნებში. განსაკუთრებით დიდი დატვირთვით მუშაობენ სომხეთისა და აზერბაიჯანის მიმართულებით. კომპანიაში საავტომობილო ტრანსპორტის კიდევ უფრო განვითარებას ცდილობენ მეტი მობილურობისა და ეფექტიანობის მისაღწევად პარკის გაზრდას და ყველა ტიპის მისაბმელების გამოყენებას გეგმავენ.

,,სოფმარი" წევრია ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციებისა, როგორიცაა BIMCO (ბალტიის საერთაშორისო საზღვაო საბჭო), FIATA (სატვირთო გადამზიდების საერთაშორისო ფედერაცია), INTERTANKO (ტანკერთა გემთფლობელების დამოუკიდებელი საერთაშორისო ასოციაცია). "სოფმარში" დანერგილია საერთაშორისო სტანდარტები და მისი მომსახურების ხარისხი აღიარებულია საერთაშორისო ორგანიზაციების FIATA-ს (სატვირთო გადამზიდების საერთაშორისო ფედერაცია), IMC -სა (ბალტიის საერთაშორისო საზღვაო საბჭო) და INTERTAN -ს (ტანკერთა გემთფლობელების დამოუკიდებელი საერთაშორისო ასოციაცია) მიერ. ამ გავლენიანი ორგანიზაციების წევრობა ,, სოფმარის" საერთაშორისო იმიჯზე დადებითად მოქმედებს და კლიენტების მხრიდან ნდობას კიდევ უფრო ზრდის, ასევე ,,სოფმარი" გახლავთ საქართველოს ექსპედიტორთა ასოციაციის (AFG) წევრი.

ვახტანგ ალანიას თქმით, "სოფმარის" სიძლიერეს მისი გუნდი განაპირობებს: "ამ სფეროში საუკეთესო პროფესიონალები სწორედ "სოფმარში" მუშაობენ. კომპანიაში 80 ადამიანია დასაქმებული და თითოეული მათგანი ზრუნავს კომპანიის იმიჯზე. მათ კვალიფიკაციის ასამაღლებლად წელიწადში რამდენჯერმე უტარდებათ ტრენინგები, რათა საერთაშორისო სტანდარტების მომსახურება შესთავაზონ კლიენტებს. ვცდილობთ, კომპანია სტაბილური და ფინინსურად ძლიერი იყოს. თითოეული თანამშრომლის წინაშე დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ და მინდა, მათ სტაბილურობის განცდა ჰქონდეთ. 27 წლის წინ, როცა კომპანიას ვაფუძნებდი, არ მიფიქრია, რომ ამდენს შევძლებდით. ვერ ვიტყვი, რომ მდიდარი გავხდი, მაგრამ სურვილების განხორციელება შემიძლია და თანაც 80 ადამიანი მყავს დასაქმებული. ამით ვარ ბედნიერი. ეს ჩემი ადგილია და თავის დროზე საზღვაო სააგენტოს შექმნით სწორი არჩევანი გავაკეთე".

ბლიც ინტერვიუ

გუჯა ქარაია: ,,სამშობლოს ღალატი უპატიებელია,,

ივეტა პაქკორია
ფოთი

მინი დოსიე
-ვცხოვრობ და ვმოღვაწეობ ფოთში
-დაახასიათეთ საკუთარი თავი სამი სიტყვით
-ენერგიული, ემოციური, შრომისმოყვარე
-საიდან იწყება თქვენთვის დედამიწა ?
- ჩემი აივნიდან
-შორიდან დანახული საქართველო
-მშვიდი წყნარი, მომთმენი
-მიზანი
-საბავშვო თეატრი ფოთში
-მიღწევა
-საკმაოდ ბევრი ქალაქში და საერთაშორისოც
-ჰობი
-ჩოგბურთი
-ოცნება
-კოსმოსი
-ღირსება და ნაკლი
-ამტანი და დამთმობი
-რას შეცვლიდით ცხოვრებაში?
-არაფერს, ღმერთმა მარგუნა ეს ცხოვრება.
-ტყუილი და თქვენ...
-ხანდახან ახლოს ვართ...
-რისი გეშინიათ ?
-არაფრის, ეს ალბათ ასაკმა მოიტანა.
-რამ შეიძლება აგაყვიროთ?
-ყველაფერმა, ემოციური ვარ
-რამდენად აზარტული ხართ.
-საშუალოდ
-საყვარელი სასმელი..
-წითელი ბურგუნდიული
-წიგნი, რომელიც ბოლოს წაიკითხეთ
-უილიამ ფოლკნერის მოთხრობები. მიყვარს ფსიქოლოგიური ნაწარმოებები..
- როგორი მეგობარი ხართ?
-ალბათ ნორმალური, არაფრით განსხვავებული...
-ღალატი
-არასანდო, ყველაზე მტკივნეული გრძნობაა. ისტორიას ახსოვს თვითმკვლელობით დასრულებული ღალატი. სამშობლოს ღალატი კი უპატიებელია.
-ოჯახი
-მყავს მეუღლე და ორი შვილი.
-თქვენ 20 წლის შემდეგ...
- ფიზიკურად არამგონია შევიცვალო, ალბათ მარტო ასაკით
- მხატვარი რომ იყოთ, რას დახატავდით?
- შვილებს.
-გრძნობა, რომელიც ამ წამს გაქვთ?
-ამ წუთს ვფიქრობ, სწორად გიპასუხეთ თუ არა...
ყველაფერი უფლის ნებაა. მივენდოთ უფალს და ის გვიჩვენებს სწორ გზას.

კოლუმბა ვარდა: ,,ვგრძნობ, რომ ჩემს სახლში მოვედი,,

დასაწყისი 5 - გვ.

მისი წარმომავლობა, იმალებოდა და ამიტომაც არც რუსულად მეტყველებდა და არც ქართულად, მხოლოდ ფრანგულად. ამიტომ არ გვასწავლა ქართული ენა, გასაიდუმლოებული იყო ოჯახში. შემდეგ ყველანი დაიღუპნენ, ბებია-ბაბუა, დედ-მამა. ჩემი და-ძმანიარასდროს დაინტერესებულან წარმომავლობის გარკვევით, მხოლოდ მე დავინტერესდი, მომეძია ყველაფერი ჩვენს შესახებ. არ ვიცოდი ვინ ვიყავი - ქართველი თუ რუსი. დიდი ხნის განმავლობაში მეგონა, რომ ვიყავი წარმომავლობით ქართველი, ჩემთვის აღმოჩენა იყო, რომ ვიყავი ასირიელი საქართველოდან" - საუბრობს კოლუმბა.

2005 წელს ქალბატონი კოლუმბა პირველად მოხვდა საქართველოში. სწორედ აქედან იწყება ქართულ კულტურასთან ზიარება. მან შეისწავლა ქართული ფოლკლორი. განსაკუთრებით მოიხიბლა მეგრული ფოლკლორით: "სამეგრელო ჩემთან უფრო ახლოსაა. მეგრული სიმღერა ხასიათით ძალიან მგავს. როდესაც ახალ სიმღერაზე ვიწყებთ მუშაობას, ვგულისხმობ ქართულს, მეგრულს, ყოველთვის შინაგანად და ემოციით ვგრძნობ ამ არაჩვეულებრივ მუსიკას".

საფრანგეთშიც ხშირად მღერიან და უწევენ პოპულარიაზაციას ქართულ კულტურას. ქალბატონმა კოლუმბამ წიგნიც კი გამოსცა საქართველოს შესახებ. ესაა დოკუმენტური შინაარსის, სადაც მოცემულია საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ფოტოები, აფორიზმები, ქართველი მწერლების ძვირფასი ციტატები, ასევე აქვთ გადაღებული დოკუმენტური ფილმი, რომელიც ანახეს ფრანგ ხალხს.

რაც შეეხება მათ ვიზიტს საქართველოში, ისინი მიწვეულნი არიან სიმპოზიუმზე თბილისსა და ბათუმში, რომ წარდგნენ ქართული და მეგრული სიმღერებით ქართველი პუბლიკის წინაშე. ჩვენს ქალაქში ფოთელი მეგობრის მაიკო დოლბაიას თხოვნით ჩამოვიდა, რომელიც წლებია ემიგრაციაშია. მათ ფოთში შეასრულეს ქართული-ხალხური სიმღერები ანსამბლ ,,ფაზისთან" ერთად. მათ მასტერკლასები ჩაუტარა ქართული ფოლკლორის ამაგდარმა, ღირსების ორდენოსანმა ბატონმა იროდი ტიკარაძემ, რომ უფრო კარგად დახვეწონ და შეისწავლონ სიმღერები.

ფოთში ცხენოსნობაში შეჯიბრი გაიმართა

23 ნოემბერს ფოთის იპოდრომზე, ნიკო ნიკოლაძის 175 წლის საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებში, ცხენოსნობაში შეჯიბრი გაიმართა. აღნიშნული შეჯიბრი ქალაქის მუნიციპალიტეტის ორგანიზებით მოეწყო.

შეჯიბრი ცხენოსნობის ორ ძირითად სახეობაში ჩატარდა: დოღსა და კონკურში. მასში საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსული მხედრები მონაწილეობდნენ.

ცხენოსნობის ორივე სახეობაში ფოთის საცხენოსნო სკოლის მოსწავლეებმა მოიპოვეს პირველობა: დოღში–ნიკა ვეშპიძემ, ცხენით „პეგი“ და კონკურში გიორგი კვარაცხელიამ ცხენით „პირველი“.
გამარჯვებულები ფოთის მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი ხახუბიამ, ფოთის მერმა გოჩა კურდღელიამ და საკრებულოს წევრმა თორნიკე ხარჩილავამ დააჯილდოვეს.

საქართველო–ტონგოს თამაშს ფოთელი გულშემატკივრები დიდ ეკრანზე ადევნებდნენ თვალს

საქართველო-ტონგოს თამაშს ფოთელი გულშემატკივრები, ქალაქის ცენტრალურ პარკში, დიდ ეკრანზე ადევნებდნენ თვალს.

ტონგას წინააღმდეგ თამაში საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრებისთვის 2018 წლის ბოლო ტესტ-მატჩი გახლდათ.

თამაში ანგარიშით 20:9 საქართველოს გამარჯვებით დასრულდა.

სპორტი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი ფოთის საფეხბურთო სკოლაში

ფედერაციის პრეზიდენტი, მაჟორიტარ დეპუტატთან, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, ფოთის საფეხბურთო სკოლის სტადიონზე მოსწავლეთა ვარჯიშს დაესწრო და სკოლის მწვრთნელებსა და მოსწავლეებს შეხვდა.

ფედარაციის პრეზიდენტი სტადიონზე არსებულ ვითარებას გაეცნო და როგორც საფეხბურთო სკოლის მესვეურებთან საუბრისას განაცხადა, ფედერაცია სტადიონზე სარეკონსტრუქციო სამუშაოებს და მოედნის ახალი საფარის დაგებას უზრუნველყოფს.

ფოთელი მოჭიდავეებმა – ლუკა გადელიამ და მარიამ თოდუამ მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილეობის უფლება მოიპოვეს

რამდენიმე დღის წინ, საგარეჯოში, ჭიდაობა სამბოში, 2002-2003 წლებში დაბადებულ მოჭიდავე გოგონათა და ვაჟთა შორის, ორგზის მსოფლიო ჩემპიონის მამუკა კურდღელაშვილის სახელობის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი გაიმართა, რომელშიც წარმატებით იასპარეზეს ფოთელმა მოჭიდავეებმა:

I ადგილი - ლუკა გადელია, 46 კგ წონითი კატეგორია

I ადგილი - მარიამ თოდუა, აბსოლუტური მძიმე წონითი კატეგორია

II ადგილი - დავით დგებია, 50 კგ წონითი კატეგორია

III ადგილი - ანრი ტაკიძე და მიშა ჯანჯღავა, 72 კგ წონითი კატეგორია

აღსანიშნავია და მისასალმებელია ის გარემოება, რომ ლუკა გადელიამ და მარიამ თოდუამ მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილეობის უფლება, რომელიც გაიმართება 4-7 დეკემბერს სერბეთში ქალაქ ნოვისადში.

ვულოცავთ გამარჯვებულ და საპრიზო ადგილებზე გასულ მოჭიდავეებს და მათ მწვრთნელებს ვალერი გიგიბერიას, ნუკრი ბერაიას, კონსტანტინე ხუბუტიას და სკოლის მენეჯერს გრიგოლ გუგუშვილს მიღწეულ წარმატებას, ხოლო ლუკა გადელიას და მარიამ თოდუას წარმატებებს უსურვებთ მსოფლიო ჩემპიონატზე

„ჭაბონამა–მ ნახევარფინალში ასპარეზობის დამსახურებული უფლება მოიპოვა

გასულ კვირას მარტვილში ზონალური პირველობის ჯგუფური ეტაპის კალენდარული მატჩი სამოყვარულო ფეხბურთში გაიმართა, სადაც ფოთის „ჭაბონამა” დაუპირისპირდა ხეთის ფეხბურთელებს. სწორედ ამ შეხვედრას უნდა გამოევლინა ზონალური პირველობის ნახევარფინალისტის ვინაობა.

დაძაბულ ორთაბრძოლაში გამარჯვება მოიპოვა ფოთის „ჭაბონამა”-მ, რომელმაც ანგარიშით 1 : 0 სძლია მეტოქეს და ნახევარფინალში ასპარეზობის დამსახურებული უფლება მიიღო, სადაც ის დაუპირისპირდება წყალტუბოს ფეხბურთელთა გუნდს

მანანა გოგეჯიშვილის გახსენება

უშენოდ ისევ მოვიდა შენი დაბადების დღე, მანანა. ზამთრის ცივ დღეს ისე ტბილად და სიხარულით აღვნიშნავდით შენთან ერთად, ისეთ საამო გარემოს გვიქმნიდი, ისეთი ხალისი შემოგქონდა ჩვენს გულებში. ახლა კი შენი მონატრება, უშენობის უზარმაზარი ტკივილი გვიმძიმებს სულს.

როგორ გვაკლიხარ, როგორ გვენატრები, როგორი სიცარიელეა გულში.

დრო ვერ აშუშებს ტკივილს. უფრო ამძაფრებს მონატრებას, ვერ შევეჩვიეთ უშენობას, მაგრამ არ არის სხვა საშველი.

შენს დაბადების დღეს შენი საყვარელი ყვავილებით მოგირთავთ საფლავს, სანთლებს აგინთებთ და ღმერთს შევავედრებით შენს კეთილ სულს.

ძალიან გვენატრები და გვტკივა უშენობა. უფალს ებარებოდე, მანანა....

შენი თამილა

ინეზა პაჭკორიას გახსენება

სიკვდილსაც თავისი წილი სამართალი ქონია და ამას შენი ამქვეყნიდან წასვლის შემდეგ მივხვდი, რადგან მწუხარებასთან ერთად სიამაყეც მიპყრობდა, თურმე რამდენად დიდი ადამიანი ყოფილხარ, რამდენი სიკეთე გითესია, რამდენი სიყვარული გაგიცია შენი ამ ქვეყნად ცხოვრების მანძილზე.

ყველაზე ფიქრს და ზრუნვას ასწრებდი... სანაცვლოდ არაც არაფერს ითხოვდი... ყველა ახლობელი შვილად მიიღე, ყველა იძმე, ყველა დად მიღე...

ძველებურად ყოველდღე კვლავ შენს მოკითხვას ველოდები... რძალ-მული არასოდეს ვყოფილვართ, ამიტომაც მტკივა ასე ძალიან უშენობა ჩემო მოსახელევ...

უშენოდ დღეები ტკივილით, ცრემლით და მონატრებით გადის...

უსაზღვროა შენი მონატრება დაო ღმერთმა დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი ჩემო საყვარელო ინე...

შენი ძმისშვილები

გახსენება

მეგობარ დიმა შარაშენიძის ხსოვნას!

მშვიდობით მეგობარო...

მშვიდობით მეგობარო, მშვიდობით,
ტანჯვით ჩახვედი სულეთს,
იქნებ–როგორმე, როგორდაც
შენი ოცნებები ასრულდეს!
მეგობრისათვის, მამულისათვის, ყველასათვის,
პირველი იყავი ფარად,
ვერვინ იტყოდა ძვირსა
და ვერც ახსენებდა ავად.
სულის სილაღე გიყვარდა;
სამშობლოც მთანიც... ტეხურა,
მკაცრად იცავდი წესებს
და კაცური ქუდი გეხურა!
არ გაგიმართლა რაღაცეებმა,
ცხოვრება არ არის იოლა
მუდამ შემართული იყავი და
და მუდამ გიხდებოდა ბრძოლა!
ქეიფიც გიყვარდა – რა თქმა უნდა
ისე, როგორც ყველა ქართველს,
თუმცა უსაზღვრო და უნაპირო,
ბოლოს ჯანმრთლობას გართმევს.
კაცურად იარე, ვერ იტყვიან სხვას
ზნე და მორალი მტკიცედ გწამდა,
არ გიღლატნია არარაისთვის
საკუთრი თავის გარდა!
მშვიდობით მეგობარო, მშვიდობით,
გამოეთხოვე საყვარელ ქალაქს
ცხოვრებაც ისეა გათვლილი,
ადრე თუ გვიან ყველანი წავალთ!

სულეთის საუფლოში გადავიდა დიმა შარაშენიძე, ჩემი უღალატო მეგობარი, ფოთის კოლორიტი, კაცური კაცი ... მან ღირესულად გაიარა ცხოვრების გზა.... დიმა უყოყმანოდ გადაეშვებოდა ცხოვრების ქარტეხილში მეგობრის დასაცავად და დასახმარებლად... მისი ინტელექტისთვის მცირე იყო ვიწრო მასშტაბები... რომ არა მისთვის უარყოფითი გარემოებები–ვინ იცის რა სიმაღლეებს მიაღწევდა ... სამწუხაროდ ბევრი რამ განუხორციელებელი დარჩა მშვიდობით მეგობარო ...

თეიმურაზ გოგელია

გაზეთის ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ერთი ნომრის ღირებულება ორგანიზაციებისთვის
1 წლით - 50 ლარი
6 თვით - 25 ლარი
3 თვით - 12,50ლარი
კარდაკარის პრინციპით გაზეთის გამოწერა მოქალაქეებისთვის
3 თვით - 6 ლარი

იკითხეთ გაზეთი მთავარი თემა სამეგრელოში

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სამუშაოდ იწვევს სამეგრელოს რეგიონიდან ყველა ასაკის მქონე ადამიანებს გაზეთის გამავრცელებლად და სარეკლამო აგენტებად კანდიდატების შერჩევა მოხდება გასაუბრებით. მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/19 ტელეფონი: 599 34 14 17

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სტაქირებაგე იწვევს სტუდენტებს, ახალგაზრდებს რომელთაც სურთ მიიღონ გამოცდილება ჟურნალისტიკაში წარმატებული სტაქიორები დასაქმდებიან გაზეთში. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/19 ტელ: 599 34 14 17

ისარგებლეთ გაზეთ "მთავარი თემა სამეგრელოში"შეღავათიანი მომსახურებით, განათავსეთ გაზეთში განცხადებები,რეკლამები, მილოცვები. ოჯახის სამგლოვიარო განცხადებები,მილოცვა- ჩვეულებრივი შრიფტით - ერთი ასო 5 თეთრი, სქელი შრიფტით - 7 თეთრი, პირველ გვერდზე - ორმაგი ფასი, სურათიანი განცხადებები: სამგლოვიარო - 15 ლარი,მილოცვა - 10 ლარი, არაპოლიტიკური რეკლამა: მესამე გვერდზე- მთლიანი გვ. (1000სმ2)-150 ლარი,ნახევარი (500 სმ2) - 75 ლარი;მეოთხედი (250სმ2)- 37.50 ლარი; მეხუთე გვერდზე: მთლიანი გვ. -130 ლარი; ნახევარი - 65 ლარი; მეოთხედი 32.50 ლარი. პირველ გვერდზე რეკლამა ხუთჯერ ძვირია, ვიდრე მესამე გვერდზე,ბოლოზე- სამჯერ ძვირი ვიდრე მესამე გვერდზე. პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია. მრავალჯერად რეკლამებზე და ხელმომწერებზე გათვალისწინებულია ფასდაკლება. გაზეთის გამოწერის მსურველებმა მიმართეთ სამეგრელოს რეგიონალური გამოცემის ოფისს. ქ. ფოთი, წმ. ნინოს ქ.3/ 2 ტელ: 0(493) 22-40-50; 5(99) 34 14 17,

მთავარი თემა სამეგრელოში თქვენი პრობლემების კვალდაკვალ

(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.